N 04/225
07/11/2022

ბრძანება

225-01-4-202211071707

გადაწყვეტილება

2022 წლის 06 სექტემბრის №01/1583 საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ

1. პროცედურული და ფაქტობრივი გარემოებები

1.1 მომჩივანის პოზიცია

2022 წლის 06 სექტემბერს საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) წარმოდგენილ იქნა შპს „დემაკლენკო იტალიას“ (Demaclenko IT S.R.L) (ს/კ: 02712150214) საჩივარი (რეგ. №01/1583), საქართველოს მთავრობისა და შპს „ემ თი ეი“-ს (ს/კ: 215096367) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი[1]) მე-10 მუხლის (სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკურენციის შეზღუდვის დაუშვებლობა) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

საჩივარში აღნიშნულია, რომ 2018 წლის 17 მაისს შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიას“ (მოქმედი სახელწოდება შპს „ემ თი ეი“), საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციისა და ა(ა)იპ - საქართველოს სათხილამურო ფედერაციის მიერ ხელი მოეწერა „2023 წლის მსოფლიო სათხილამურო და სნოუბორდის ფრისტაილის ჩემპიონატის მასპინძლობის შესახებ“ ხელშეკრულებას. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში, 2023 წლის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის, შპს „ემ თი ეი“ ვალდებული იყო, რომ 2022 წლის

[1] წინამდებარე გადაწყვეტილების ტექსტის ცალკეული კონტექსტის გათვალისწინებით, გარკვეულ შემთხვევებში, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი სრულად არის მოხსენიებული.

ბოლომდე ბაკურიანში რამდენიმე ლოკაციაზე განეხორციელებინა სასრიალო ტრასებისა და გათოვლიანების სისტემის შეძენა და მონტაჟი.

მომჩივანი აღნიშნავს, რომ შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრული გამჭვირვალე პროცედურების თავიდან ასაცილებლად, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 თებერვლის N 362 და 14 აპრილის N 681 განკარგულებებით შპს „ემ თი ეი“-ს მიეცა უფლება სპეციალური წესით, პირდაპირი შესყიდვის გზით შეეძინა ჩემპიონატის ჩატარებისთვის საჭირო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები და მომსახურება. 2022 წლის 29 მარტს შპს „ემ თი ეი“-მ დაიწყო ბაზრის კვლევის პირველი ეტაპი, რომლის ფარგლებშიც პოტენციურ პარტნიორებს გაეგზავნათ კვლევის განთავსების შესახებ ინფორმაცია. პოტენციურ პარტნიორებს შორის იყო მომჩივანი კომპანიაც. მომჩივანის განცხადებით, ბაზრის კვლევის მეორე ეტაპი გამოცხადდა 2022 წლის 20 აპრილს, სადაც ატვირთული იყო ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის მიხედვით, პროექტის ღირებულება განისაზღვრა [redacted] ლარით. მომჩივანის განცხადებით, ბაზრის კვლევის ბოლო - მესამე ეტაპი გაიმართა 2022 წლის 5 მაისს, თბილისში, ერთ-ერთ სასტუმროში, სადაც პრეტენდენტ კომპანიებს უნდა წარმოედგინათ დალუქულ კონვერტებში მოთავსებული შეთავაზება და მოთხოვნილი დოკუმენტაცია. მომჩივანის მტკიცებით, აღნიშნულ პროცესში მონაწილეობაზე უარი თქვა ერთ-ერთმა კომპანიამ, ხოლო მომჩივანმა და კომპანია „TechnoAlpin”-მა მასში მონაწილეობა მიღეს. მომჩივანის შეთავაზებული ფასი შეადგენდა [redacted] ლარს, ხოლო მეორე პრეტენდენტი კომპანიის - [redacted] ლარს.

მომჩივანი აღნიშნავს, რომ 2022 წლის 08 მაისს შპს „ემ თი ეი“-მ მომჩივანისგან მოითხოვა რიგი საკვალიფიკაციო ინფორმაციის დაზუსტება კომპანიის ბრუნვასთან, გამოცდილებასთან და ISO სერთიფიკატებთან დაკავშირებით.

მომჩივანის განხადებით, მან აღნიშნული ინფორმაცია მეორე დღესვე დააზუსტა წერილობითი ფორმით და შპს „ემ თი ეი“-ს მიაწოდა შემდეგი ინფორმაცია/დოკუმენტაცია:

1) შპს „დემაკლენკო“ შედიოდა ჰოლდინგის შემდგენლობაში და შეუძლებელი იყო ფინანსური ბრუნვის გამიჯვნა, შესაბამისად წარდგენილ იქნა ჰოლდინგის 2021 წლის ფინანსური ბრუნვა [redacted] ევრო (დაახლოებით [redacted] ლარი), (საკალიფიკაციო მოთხოვნა იყო ბოლო სამი წლის განამვლობაში [redacted] ლარის ჯამური ბრუნვა);

2) ინფორმაცია ბოლო 5 წლის მანძილზე განხორციელებული პროექტების შესახებ;

3) გათოვლიანების სისტემის გაერთიანება/ინტეგრაციასთან დაკავშირებით მომჩივანის გამოცდილება საქართველოში 2014 და 2020 წლებში განხორციელებულ პროექტებში;

4) ISO სერთიფიკატებთან დაკავშირებით განმარტება, რომ ყველა საჭირო სერტიფიკატს ფლობს ჰოლდინგი, რომლის შემადგენლობაშიც შედის მომჩივანი.

საჩივარში აღნიშნულია, რომ მომჩივანმა 2022 წლის 17 მაისს მიიღო შემსყიდველი კომპანიისგან დაუსაბუთებელი წერილი იმის შესახებ, რომ პროექტის განსახორციელებლად სხვა კომპანია განიხილებოდა. ასევე, მომჩივანის მტკიცებით, მედიაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, კონკურენტმა კომპანიამ თავდაპირველად დაფიქსირებული ფასი შეცვალა და შეამცირა [redacted] ლარამდე. 2022 წლის 12 ივლისს გამოიცა საქართველოს მთავრობის N1231 განკარგულება „შპს „ემ თი ეი"-ს მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ", რომლის საფუძველზეც შემსყიდველმა ორგანიზაციამ შპს „ემ თი ეი"-მ გააფორმა ხელშეკრულება შპს „Technoalpine"-თან, ჯამური ღირებულებით [redacted] ლარი.

მომჩივანი აპელირებს, რომ სახელმწიფო შესყიდვის პროცესში შპს „ემ თი ეი"-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა კანონის მე-10 მუხლის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების სისტემურ და უხეშ დარღვევებს, ზიანი მიადგა საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად განკარგვის ინტერესს და დაზარალდა მომჩივანი კომპანია, რომელსაც მსოფლიოს მასშტაბით წარმატებით აქვს განხორციელებული უამრავი პროექტი. ასევე, მომჩივანის მტკიცებით, მას მიადგა დიდი ფინანსური ზიანი, ვინაიდან შესყიდვის პროცედურის ობიექტურად განხორციელების შემთხვევაში მას უნდა მიეღო [redacted] ლარის შემოსავალი.

1.2 მოპასუხეების პოზიცია

2022 წლის 12 სექტემბრის N 02/807 და ამავე წლის 13 სექტემბრის N 02/810 წერილებით მოპასუხეებს - საქართველოს მთავრობასა და შპს „ემ თი ეი"-ს ეთხოვათ საკუთარი პოზიციების წარმოდგენა მომჩივანის მიერ საჩივარში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 16 სექტემბრის წერილში (რეგ. N 01/1659) აღნიშნულია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია სარჩელი, სადაც მოსარჩელეს წარმოადგენს შპს „დემაკლენკო იტალია" (მომჩივანი), ხოლო მოპასუხეებს - საქართველოს მთავრობა და შპს „ემ თი ეი". დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 ივლისის N1231 განკარგულების ბათილად ცნობა და მიუღებელი შემოსავლის სახით კომპენსაციის დაკისრება. მოპასუხემ მიუთითა კანონის 24-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვითაც სააგენტო უარს ამბობს საქმის მოკვლევის დაწყებაზე, თუ სასამართლო წარმოებაშია დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე დავის საგანზე.

შპს „ემ თი ეი" 2022 წლის 29 სექტემბრის N 01/1762 წერილში აღნიშნავს, რომ არ უნდა დაკმაყოფილდეს საჩივარი, რადგან იგი მოკლებულია სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლებს. მოპასუხე მიუთითებს, რომ მას არ დაურღვევია კონკურენციის კანონმდებლობა და „სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ კანონით დადგენილი მოთხოვნები/პრინციპები. მოპასუხის მტკიცებით, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება

დადგენილ იქნა საპროექტო ორგანიზაცია proalpe-ს მიერ და იგი ბაზრის კვლევის ეტაპზე ყველა პრეტენდენტისთვის ცნობილი იყო.

შპს „ემ თი ეი“ აღნიშნავს, რომ მომჩივანის პოზიცია შესყიდვის პროცესში საკვალიფიკაციო მოთხოვნების არაობიექტურობაზე დაუსაბუთებელია. მომჩივანი ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილ კრიტერიუმებს, კერძოდ, ერთ-ერთი საკვალიფიკაციო მოთხოვნა იყო ბოლო 3 წლის განმავლობაში კომპანიის ფინანსური ბრუნვა გათოვლიანების მიმართულებით, ხოლო მომჩივანმა წარმოადგინა ჰოლდინგის საერთო ფინანსური ბრუნვა, რომლის წევრები არიან როგორც უშუალოდ მომჩვანი კომპანია, ასევე სხვა დამოუკიდებელი იურიდიული პირები, რომლებიც სხვადასხვა საქმიანობით არიან დაკავებული. შესაბამისად, მომჩივანს დამატებით ეთხოვა წარმოედგინა ხელოვნური გათოვლიანების სისტემის/წარმოება მონტაჟის ფინანსური ბრუნვის დოკუმენტაცია, რომელიც გამიჯნული იქნებოდა ჰოლდინგში შემავალი სხვა კომპანიების ბრუნვისაგან. მოპასუხის მტკიცებით, მომჩივანმა აღნიშული დოკუმენტის წარმოდგენაზე უარი განაცხადა იმ მიზეზით, რომ შეუძლებელი იქნებოდა ბრუნვის გამიჯვნა. მოპასუხე ასევე აღნიშნავს, რომ მომჩივანმა ვერ წარმოადგინა 5 წლის განმავალობაში საჯარო/სახელმწიფო კომპანიასთან განხორციელებული ხელოვნური გათოვლიანების სისტემის წარმოება/მონტაჟის პროექტი, რომლის ღირებულებაც იქნებოდა არანაკლებ [redacted] ლარისა და ვერ წარმოადგინა მოთხოვნილი ISO სერტიფიკატები სრულყოფილად. შპს „ემ თი ეი“ აღნიშნავს, რომ უსაფუძვლოა მომჩივანის მტკიცება შესყიდვის პროცესში საჯაროობის უზრუნველყოფის დარღვევაზე. მოპასუხის მტკიცებით, ჩემპიონატის მასპინძლობისთვის განხორციელდა მთელი რიგი მოსამზადებელი სამუშაოები, შეირჩა ტერიტორია, დაიწყო სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და ა.შ. 2020 წელს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება შპს „proalpe”-სთან საჭირო ინფრასტრუქტურის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შესახებ. ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტაციის საბოლოო მიღება გვიანდებოდა, შპს „ემ თი ეი“-მ დაიწყო წინასწარ ბაზრის კვლევა, განცხადება აიტვირთა შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე და პოტენციურ პარტნიორებს (მათ შორის მომჩივანს - შპს „დემაკლენკო იტალიას“) გაეგზავნათ ინფორმაცია კვლევის განთავსების შესახებ. პირველ ეტაპზე აიტვირთა საპროექტო დოკუმენტაცია ხარჯთაღრიცხვის შესახებ, ასევე, ელ.ფოსტის საშუალებით პოტენციური პარტნიორებისგან მიღებულ იქნა თანხმობა დაინტერესების შესახებ (მათ შორის მომჩივანისგან). ბაზრის კვლევის პირველი ეტაპის დასრულების შემდგომ მოხდა საკვალიფიკაციო კრიტერიუმების დადგენა, ხოლო კვლევის მეორე ეტაპზე - სააგენტოს ვებ-გვერდზე აიტვირთა პროექტი, ნულოვანი ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. შპს „ემ თი ეი“ აღნიშნავს, რომ კომისიამ დოკუმენტაციის შემოწმებისა და შესწავლის შემდეგ გადაწყვეტილება მიიღო უპირატესობა მიენიჭებინა კომპანია „TechnoAlpin”-სთვის და დაიწყო გამარტივებული შესყიდვისთვის გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები. 2022 წლის 27 მაისს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე აიტვირთა სააგენტოსთან შეთანხმების მიზნით შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის

განკარგულების პროექტი, რომელსაც თან ახლდა განმარტებითი ბარათი, სადაც დეტალურად იყო აღწერილი აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მოტივაცია. აღნიშნული დოკუმენტაცია იყო საჯარო და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო მისი ნახვა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2022 წლის 9 ივნისის N 1900 განკარგულებით, შპს „ემ თი ეი"-ს მიეცა თანხმობა გამარტივებულ შესყიდვაზე, რის საფუძველზეც, 2022 წლის 12 ივლისის საქართველოს მთავრობის N 1231 განკარგულებით შპს „ემ თი ეი"-ს მიეცა უფლება, უშუალოდ განეხორციელებინა სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული წესით. შესაბამისად, მოპასუხის მტკიცებით, გაუგებარია მომჩივანის პრეტენზია სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის პრინციპის დარღვევაზე, ამასთან, მას შეეძლო, რომ კანონმდებლობით დადგენილი წესით საჩივრით მიემართა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განმხილველი საბჭოსთვის და შეეჩერებინა შესყიდვის განხორციელება.

1.3 დამატებითი ინფორმაცია

მომჩივანს სააგენტოს 2022 წლის 03 ოქტომბრის N 02/869 წერილით გადაეგზავნა მოპასუხეების პოზიცია და ეთხოვა მოსაზრების წარმოდგენა აღნიშნულ პოზიციებთან დაკავშირებით. მომჩივანი 2022 წლის 07 ოქტომბრის N 01/1810 წერილში ყურადღებას ამახვილებს საქართველოს მთავრობის პოზიციაზე და აღნიშნავს, რომ საქალაქო სასამართლოში მიმდინარე საქმის წარმოება არ შეეხება იგივე დავის საგანს და მთავრობის პოზიცია უსაფუძვლოა. რაც შეეხება შპს „ემ თი ეი"-ს პოზიციას, მომჩივანმა აღნიშნა, რომ დამატებითი პოზიციის დაფიქსირების ობიექტური საჭიროება არ არსებობდა, რადგან სააგენტოში სრულყოფილად იყო წარმოდგენილი მტკიცებულებები/ინფორმაცია სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით. საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენის მიზნით, სააგენტომ 2022 წლის 13 ოქტომბერს მომჩივანისგან მოითხოვა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 თებერვლის N362 და იმავე წლის 14 აპრილის N681 განკარგულებების წარმოდგენა, თუმცა მომჩივანის მხრიდან წარმოდგენილ იქნა დასაბუთებული პასუხი ამ მტკიცებულებების არ ქონის შესახებ.

მოპასუხეს შპს „ემ თი ეი"-ს სააგენტოს 2022 წლის 13 და 18 ოქტომბრის წერილებით (N 02/914 და N 02/921) ეთხოვა აღნიშნული განკარგულებებისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა. შპს „ემ თი ეი"-მ საპასუხო წერილით (N 01/1913, თარიღი: 26.10.2022) წარმოადგინა მოთხოვნილი ინფორმაცია.

საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასაზუსტებლად 2022 წლის 21 ოქტომბერს საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებთან. აღნიშნულ შეხვედრაზე მიღებული დამატებითი ინფორმაცია შესწავლილი და გაანალიზებული იქნა სააგენტოს მიერ. დამატებით, სსიპ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსგან 2022 წლის 24 ოქტომბრის N 02/935 წერილით გამოთხოვილ იქნა ამავე სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 09 ივნისის N1900 განკარგულება და შესაბამისი განმარტებითი ბარათი (არსებობის შემთხვევაში).

მიმდინარე წლის 04 ნოემბერს სააგენტომ წერილობით მიმართა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს (N 02/1055, თარიღი: 04.11.2022) და მოითხოვა ინფორმაციის მიღება მომჩივანის მხრიდან საჩივარში განსაზღვრული სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში რომელიმე ქმედების საბჭოში გასაჩივრების შესახებ. საბჭოს საპასუხო წერილით (N 01/1980, თარიღი: 04.11.2022) მომჩივანის მხრიდან საჩივრით განსაზღვრული რომელიმე ქმედების გასაჩივრების ფაქტი წერილის გამოგზავნის დღის მდგომარეობით არ დგინდება.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1 კონკურენციის კანონმდებლობა

2.1.1 მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე“. კანონის პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია. აღნიშნულის საფუძველზე, მე-2 მუხლით კონკრეტდება კანონის მიზანი: საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

კანონის მე-10 მუხლის მიხედვით სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება:

ა) კავშირის, ასოციაციის, გაერთიანების ან სხვა სახის სამეწარმეო სტრუქტურის შექმნა, თუ ეს იწვევს კონკურენციის შესუსტებას ან შეზღუდვას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) ეკონომიკური აგენტისთვის ისეთი შეღავათის დაწესება, რომელიც მას კონკურენტებთან ან პოტენციურ კონკურენტებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) ეკონომიკური აგენტის ეკონომიკური საქმიანობის ან/და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან სხვაგვარად შეფერხება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

დ) საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციისთვის სახელმწიფო სტრუქტურის შექმნა ან არსებული სახელმწიფო სტრუქტურისთვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც შეზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ე) ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ეკონომიკურ აგენტს დომინანტურ მდგომარეობას უქმნის, რაც არსებითად ზღუდავს თავისუფალ ფასწარმოქმნასა და კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2.1.2 პროცედურული ნაწილი

კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსთხოვოს კანონის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; ამასთან, კანონის დარღვევის შემთხვევაში, წარუდგინოს მას დასაბუთებული წერილობითი დასკვნა და შესაბამისი რეკომენდაცია ამ ორგანოს მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების თაობაზე, მათ შორის, მოსთხოვოს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება, ხოლო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღნიშნული საკითხი დასვას შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე.

„საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის N40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-5 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია დაიწყოს მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.

კანონის 22-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

„საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის (შემდგომში - პროცედურა) მე-7 მუხლის თანახმად, საჩივრის მატერიალურ დასაშვებობას და მის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობას სააგენტო შეისწავლის საჩივრის სრულყოფილი სახით რეგისტრაციიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით.

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძვლები გაწერილია კანონის 24-ე მუხლში, ხოლო უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

3. სამოტივაციო ნაწილი

კანონის 24-ე მუხლის ,,ზ" პუნქტის შესაბამისად, სააგენტო უარს ამბობს საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე, თუ სასამართლო წარმოებაშია დავა იმავე მხარეებს შორის იმავე დავის საგანზე ან იმავე დავის საგანზე სასამართლოს მიღებული აქვს განჩინება ან სხვა გადაწყვეტილება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ. განსახილველი საჩივრის ფარგლებში, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული ნორმის განმარტებას დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად. კერძოდ, მოცემული ნორმის ელემენტები შემდეგია:

1. დავის არსებობა სასამართლო წარმოებაში;
2. დავა იმავე მხარეებს შორის;
3. დავის საგნის იდენტურობა.

3.1 დავის არსებობა სასამართლო წარმოებაში

სარჩელი, რომელიც მოცემულ შემთხვევაში შეიძლება მიჩნეულ იქნეს სააგენტოში წარმოდგენილი საჩივრის იდენტურად, სასამართლო წარმოებაში 2022 წლის 08 აგვისტოს განჩინებით არის მიღებული (სასამართლო საქმის №3/5410-22). აღნიშნული განჩინებით დგინდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2022 წლის 3 აგვისტოს შპს „დემაკლენკო იტალიის" (Demaclenko IT S.R.L) მიერ წარდგენილი სარჩელი სასამართლო წარმოებაში მიიღო. სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი აკმაყოფილებდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-24ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს და იგი დასაშვებად ცნო. შესაბამისად, ნორმის აღნიშნული ელემენტის არსებობა დადგენილია.

3.2 დავა იმავე მხარეებს შორის

სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებით (სასამართლო საქმის №3/5410-22), აგრეთვე შპს „დემაკლენკო იტალიის" (Demaclenko IT S.R.L) მიერ სასამართლოში წარდგენილი სარჩელით დგინდება, რომ სასამართლოში სასარჩელო მოთხოვნები მიმართულია როგორც საქართველოს მთავრობის, ასევე შპს ,,ემ თი ეის" (ს/ნ 215096367) წინააღმდეგ. ანალოგიურად, სააგენტოში წარმოდგენილი 2022 წლის 06 სექტემბრის საჩივრით (რეგ: № 01/1583) დგინდება, რომ მომჩივანი კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დამრღვევ პირებად მიიჩნევს შპს ,,ემ თი ეის" (ს/ნ 215096367) და საქართველოს მთავრობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველი ნორმის დასახელებული ელემენტიც მოცემულია.

3.3 დავის საგნის იდენტურობა

მხარეთა შორის დავის საგნის შინაარსს განსაზღვრავს მოთხოვნის ორი შემადგენელი ელემენტი: 1. ფაქტობრივი საფუძველი და 2. სამართლებრივი საფუძველი.

3.3.1 მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი

მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი გულისხმობს, რომ მომჩივანის მიერ წამოყენებული მოთხოვნა გარკვეულ ფაქტობრივ გარემოებათა ერთობლიობას ემყარება. შესაბამისად, მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველია იმ ფაქტებისა და გარემოებების ერთობლიობა, საიდანაც გამომდინარეობს შესაბამისი მოთხოვნის შინაარსი/საგანი. სააგენტოში წარმოდგენილი საჩივრისა და სასამართლო წარმოებაში მიღებული სარჩელის ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშედარების გზით დგინდება, რომ განსახილველი დავის ფაქტობრივი საფუძველი იდენტურია. აღნიშნულ გარემოებას არც მხარეები მიიჩნევენ სადავოდ. კერძოდ, მოპასუხის - საქართველოს მთავრობის პოზიციით (რეგ. 01/1659, თარიღი: 16.09.22) - *,,მხარის მიერ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად გამოყენებულია იგივე ფაქტები და გარემოებები, რომლებიც მითითებულია სააგენტოში წარდგენილ საჩივარში."* აღნიშნული პოზიციის საპასუხო წერილში, მომჩივანი თავის მხრივ უთითებს იმ გარემოებაზე, რომ სასამართლოში და სააგენტოში არსებული დავის საგანი ერთი და იგივე შესყიდვის პროცედურას უკავშირდება, რის გამოც ფაქტები და გარემოებები ერთიდაიგივე იქნება ორივე შემთხვევაში (რეგ: № 01/1810; თარიღი: 07.10.2022). აქვე აღსანიშნავია, რომ მოპასუხე კომპანიის - შპს ,,ემ თი ეის" (ს/ნ 215096367) მხრიდან სადავო არ გამხდარა მოთხოვნის აღნიშნული ელემენტის არსებობა ე.ი. ფაქტობრივი საფუძვლის იგივეობა (რეგ: № 01/1762; თარიღი: 29.09.2022).

3.3.2 მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი გულისხმობს იმ კანონის ნორმის არსებობას, რომლის მეშვეობითაც უფლებამოსილ პირს შეუძლია განახორციელოს თავისი მოთხოვნა - მიიღოს კუთვნილი და აღიდგინოს დარღვეული უფლება სასამართლოს მეშვეობით ან მის გარეშე. ასევე, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომელიც ცალკეული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს ანიჭებს მეორე მონაწილისაგან გარკვეული მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებას.

3.3.2.1 სათანადო მოპასუხის განსაზღვრის საკითხი

მომჩივანის მიერ სააგენტოსთვის მიმართული მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის დასადგენად უნდა განისაზღვროს სამართლის ის ნორმა, რომლის საფუძველზეც მომჩივანი ითხოვს საქმის მოკვლევის დაწყებას. საჩივარში წარმოდგენილია მითითება იმის თაობაზე, თუ კანონის რომელი მუხლის/მუხლების სავარაუდო დარღვევას

აქვს ადგილი და ასეთად მომჩივანმა ზემოთ ხსენებული კანონის მე-10 მუხლი დაასახელა. აღსანიშნავია, რომ მომჩივანს სააგენტოში წარმოდგენილ საჩივარში მოპასუხედ დასახელებული ჰყავს ორივე პირი, თუმცა, საჩივარში მოყვანილია ის ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, რომელიც შეეხება შპს „ემ თი ეის“ მიერ კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევას და არ დგინდება თუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით მიიჩნევს მომჩივანი საქართველოს მთავრობას სათანადო მოპასუხედ (იხ., გრაფა - საჩივრის სახე).

3.3.2.2 სახელმწიფო შესყიდვების წესისა და სპეციალური წესის ურთიერთმიმართების საკითხი

რაც შეეხება უშუალოდ შპს ,,ემ თი ეის“ მიერ შესყიდვის პროცედურის ფარგლებში განხორციელებულ ქმედებებს, რომელიც მომჩივანმა სააგენტოში გაასაჩივრა - პირველ რიგში სააგენტო აღნიშნავს, რომ შესყიდვის პროცედურის სახედ მოცემულ შემთხვევაში გამარტივებული შესყიდვა განისაზღვრა. აღნიშნული გარემოება დასტურდება უპირველეს ყოვლისა სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან გამართულ საკონსულტაციო შეხვედრაზე [1] მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, რომლითაც დგინდება, რომ შპს ,,ემ თი ეი“ მოქმედებდა არა საქართველოს მთავრობის მიერ (2022 წლის 25 თებერვლის განკარგულება № 362 და 14 აპრილის განკარგულება № 681) სავარაუდოდ განსაზღვრული სპეციალური წესის, არამედ გამარტივებული შესყიდვის წინამოსამზადებელი ეტაპის ფარგლებში. აღნიშნული განკარგულებები სააგენტომ გამოითხოვა და მიიღო შპს ,,ემ თი ეისგან“ (რეგ: 01/1913; თარიღი: 26.10.2022) და ასევე მოიპოვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან (მოდული - SMP220001576). გასათვალისწინებელია, რომ სპეციალური წესით შესყიდვის განხორციელების შემთხვევას ადგენს ,,სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ა.თ) ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით *სახელმწიფო შესყიდვა გულისხმობს ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვას იმ საწარმოს სახსრებით, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული საწარმო თავისი საქმიანობის სპეციფიკასთან*

დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების შესყიდვისას ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის მიერ ამ საქონლის ან მომსახურების შესყიდვისთვის დადგენილი სპეციალური წესით, რომლის მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 2 წელს. საქართველოს მთავრობის მიერ დასადგენ სპეციალურ წესს

[1] საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი N1 (თარიღი: 21.10.2022).

შეიმუშავებს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შესაბამისი საწარმოებისა და მუნიციპალიტეტების წინადადებათა საფუძველზე. საქართველოს მთავრობის მიერ სპეციალური წესის დაუდგენლობის შემთხვევაში შესყიდვა უნდა განხორციელდეს ამ კანონის შესაბამისად.

სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებთან გამართულ საკონსულტაციო შეხვედრაზე დადგინდა, რომ სპეციალური წესის შემოღება დასაშვებია საქართველოს მთავრობის დადგენილების და არა განკარგულების საფუძველზე. ამასთან, სააგენტოს მიერ მოპოვებული განკარგულებებით დგინდება, რომ საქართველოს მთავრობამ შემოიღო არა შესყიდვის სპეციალური წესი, არამედ: - 1. განკარგულება N 362-ით - შპს ,,ემ თი ეის" დაევალა უმოკლეს ვადებში მოეხდინა ბაკურიანში, დიდველისა და კოხტა-მიტარბის სათხილამურო კურორტებზე წყლის ხელოვნური რეზერვუარების მოწყობასთან დაკავშირებული ყველა სახის სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების/მომსახურების გაწევა და შესყიდვების პროცედურასთან დაკავშირებული პროექტის კორექტირება; 2. განკარგულება N 681-ით - შპს ,,ემ თი ეის" დაევალა ბაკურიანში, დიდველისა და კოხტა-მიტარბის სათხილამურო კურორტებზე სასრიალო ტრასების მშენებლობა-მოწყობა, გათოვლიანების სისტემის დამზადება, შეძენამონტაჟი და აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებული ტექნიკური ზედამხედველობა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო არ იზიარებს, მომჩივანის მიერ საჩივარში დაფიქსირებულ პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული განკარგულებებით შპს ,,ემ თი ეის" მიეცა უფლება ე.წ. სპეციალური წესით, პირდაპირი შესყიდვით შეეძინა 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებისთვის საჭირო სამუშაო და მომსახურება იმისათვის, რომ თავი აერიდებინათ საქართველოს შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრული უფრო გამჭვირვალე პროცედურისთვის.

3.3.2.3 კონკურენციის დაცვის პრინციპი საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობაში

სააგენტო ადასტურებს გარემოებას იმის თაობაზე, რომ გამარტივებული შესყიდვის წინამოსამზადებელი ეტაპის ფარგლებში შპს ,,ემ თი ეიმ" განახორციელა რამდენიმე ქმედება (მათ შორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენა), რომელიც განეკუთვნება კანონის მე-10 მუხლის მოქმედების სფეროს. ამასთან, სახელმწიფო შესყიდვების პროცესში (მათ შორის გამარტივებული შესყიდვის განხორციელებისას) შემსყიდველი ორგანიზაციის ვალდებულება, რომ მან ჯანსაღი კონკურენცია უზრუნველყოს, გამომდინარეობს არა მხოლოდ კონკურენციის, არამედ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობიდანაც.

კერძოდ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი მიზნად ისახავს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფას, სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში *ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას*, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომისა და სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფას, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნასა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბებას.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისთვის განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომლებსაც შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემები. საკვალიფიკაციო მონაცემთა შერჩევის წესი დგინდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. საკვალიფიკაციო მონაცემებისთვის წაყენებული მოთხოვნები უნდა იყოს სამართლიანი და არადისკრიმინაციული და ხელს უნდა უწყობდეს *ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას.* ამავე კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, შესყიდვის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ახორციელებს მონიტორინგს შესყიდვის პროცესში ისეთი პრინციპების დაცვაზე, როგორიცაა საჯაროობა, სამართლიანობა და არადისკრიმინაციულობა, დადგენილი პროცედურების ზუსტად შესრულება და ანგარიშგება, *ღია და ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფა,* რაციონალური და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა.

აღსანიშნავია, რომ გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესს არეგულირებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება N 13 ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე.“ აღნიშნული აქტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ *შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, დაიცვას კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული პრინციპები...“*

როგორც ზემოთ აღინიშნა, ,,სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონის ერთ-ერთი მიზანი სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებაა. ჯანსაღ კონკურენციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკისთვის, ის არის საბაზრო ურთიერთობების ძირითადი შემადგენელი ელემენტი და წარმოადგენს ბაზრის სიმბოლოს, რომლის გარეშეც შეუძლებელია საბაზრო მეურნეობის საფუძვლების დაცვა, თავისუფალი ეკონომიკური არჩევანის პრინციპების განხორციელება, ცალკეული პერიოდისთვის სასაქონლო ბაზრებზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება და მომხმარებლისთვის მისაღები ფასის

ფორმირება. [2] შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სისტემის არსებობის ერთ-ერთ მთავარ მიზნად დასახელებულია კონკურენციის ხელშეწყობა.[3]

რაც შეეხება ,,სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლს - აღნიშნული მუხლი ფართო დისკრეციას ანიჭებს შემსყიდველს საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენისას. კერძოდ, შემსყიდველი თავად ადგენს მოთხოვნებს ყოველი კონკრეტული შესყიდვისთვის, თუმცა მე-13 მუხლის მე-3 წინადადება შემსყიდველს უდგენს როგორც სამართლიანი და არადისკრიმინაციული მოთხოვნების შემუშავების, აგრეთვე საკუთარი სატენდერო პირობებით ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრების ვალდებულებას.[4]

ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის ძირითადი მიზანი შემსყიდველი ორგანიზაციების ქმედებების რეგულირებაა, მათ შორის ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფის კონტექსტში, ხოლო ,,კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის გამოყენებისას შემსყიდველი ორგანიზაციების ქმედებებისა და გადაწყვეტილებების რეგულირება, რომლებიც იწვევს ან/და რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა და აღკვეთა - მხოლოდ ერთ-ერთი მიზანია. ***სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზემოთ დასახელებული ნორმატიული აქტების მოქმედების სფეროები ერთმანეთთან იკვეთება სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის კანონმდებლობით დაკისრებული იმ ვალდებულების ნაწილში, რომელიც ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას მოიაზრებს.*** სააგენტო დამატებით მიუთითებს, რომ სახელმწიფო შესყიდვის პროცედურის ფარგლებში, ჯანსაღი კონკურენციის განვითარება არ არის მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნა, არამედ ეს კომპონენტი მოცემულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციებითაც.[5][6]

3.3.2.4 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერება

განსახილველი საჩივრის ფარგლებში, სააგენტო იზიარებს მომჩივანის პოზიციას, იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოში მის მიერ წარდგენილი სასარჩელო

---

[2] ჯანსაღი კონკურენციის განვითარების, როგორც სახელმწიფო შესყიდვების ერთ-ერთი მიზნის შესახებ დეტალურად იხ., *ხიზანიშვილი ა.,* სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა თანამედროვე გამოწვევების წინაშე, თბილისი, 2019, გვ. 10.

[3] იქვე, გვ.11.

[4] აღნიშნული მუხლისა და ,,კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მიმართების შესახებ იხ., სააგენტოს 2016 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება - დაზღვევის საქმე N 1, გვ. 77.

[5] მაგ: 1. მეთოდური მითითებები შესყიდვის წინამოსამზადებელი ეტაპისათვის - გვ.15; 2. რეკომენდაცია კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოთხოვნებთან დაკავშირებით - გვ.1;

[6] . სახელმწიფო შესყიდვების გზამკვლევი - გვ. 20.

მოთხოვნები შინაარსობრივად განსხვავდება სააგენტოში დაფიქსირებული მოთხოვნისგან. კერძოდ, პირველ შემთხვევაში მომჩივანი სასამართლოში ითხოვს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 ივლისის განკარგულების (N 1231) ბათილად ცნობას, ასევე ზიანის ანაზღაურებას მიუღებელი შემოსავლის სახით, ხოლო სააგენტოში ის ითხოვს შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებების კანონის მე-10 მუხლთან შესაბამისობის შეფასებას. მიუხედავად აღნიშნული შინაარსობრივი განსხვავებისა, სააგენტო არ იზიარებს მომჩივანის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ დავის საგნები არ არის იდენტური, შემდეგი არგუმენტაციის გათვალისწინებით:

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 ივლისის განკარგულება (N 1231), რომლის ბათილად ცნობასაც მომჩივანი სასამართლოში ითხოვს, განეკუთვნება ინდივიდუალურადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს (შემდგომში - „ინდ.აქტი“). აღნიშნული აქტის საფუძველზე, შპს ,,ემ თი ეის“ მიენიჭა უფლებამოსილება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვა, თუმცა აღნიშნული აქტის მიღებამდე შპს ,,ემ თი ეიმ“ შეასრულა შესყიდვის წინამოსამზადებელი ქმედებები, მათ შორის ბაზრის კვლევა. აღნიშნული ქმედებები დეტალურად არის აღწერილი საქართველოს მთავრობის განკარგულების განმარტებით ბარათში. ამასთან, საქართველოს მთავრობისადმი მიმართვამდე, შპს ,,ემ თი ეიმ“ კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიპოვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობა (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის განკარგულება № 1900; თარიღი: 09.06.2022). შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ ზემოთ ხსენებული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი მიიღო შპს ,,ემ თი ეის“ მიერ საქართველოს შესყიდვების კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა პროცედურის განხორციელების შედეგად. მოცემულ შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, მომჩივანი სასამართლოში ითხოვს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 ივლისის განკარგულების (N 1231) ბათილად ცნობას, ასევე ზიანის ანაზღაურებას მიუღებელი შემოსავლის სახით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. შესაბამისად, აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში, სასამართლოს შეფასების საგანია ინდ. აქტის ფორმალური და მატერიალური კანონიერება. აქტის ფორმალური კანონიერებების შეფასებისას ყურადღება ექცევა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული წარმოების სათანადო სახეს, ინდ.აქტის ფორმასა და დასაბუთების არსებობას. ხოლო, ***მატერიალური კანონიერების შეფასებისას სასამართლომ შინაარსობრივად უნდა შეამოწმოს შეესაბამება თუ არა ინდ.აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას.*** ინდ. აქტი, როგორც სამართლის ნორმის კონკრეტიზაციისა და ინდივიდუალიზაციის აქტი, უნდა შეესაბამებოდეს სამართლის ნორმებს, რომელთა აღსრულებასაც ის ახდენს. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ ინდ.აქტი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ქვეყანაში მოქმედ სამართლის ნორმებსა და კონსტიტუციის ძირითად

პრინციპებს.[7] შესაბამისად, ინდ.აქტის მატერიალური კანონიერების შეფასების პროცესში სასამართლოს შემოწმებას ექვემდებარება არამხოლოდ ის სამართლის ნორმები, რომლის აღსასრულებლადაც იგი გამოიცა, არამედ მოქმედი კანონმდებლობაც. დამატებით აღსანიშნავია, რომ ინდ.აქტის მატერიალური კანონიერება დაკავშირებულია აქტის შინაარსთან და მოითხოვს მასში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამებოდეს აქტის გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და არ ეწინააღმდეგებოდეს ქვეყანაში მოქმედ საკანონმდებლო აქტებს. მატერიალური კანონიერების შემოწმება გულისხმობს საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლას, შესაბამისი სამართლებრივი ნორმის (გადაწყვეტილების მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლის) მოძიებას და სუბსუმციის შედეგად სამართლებრივი შედეგის განსაზღვრას. ინდ.აქტის კანონიერების ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმებიდან - დასაშვებობა, კანონიერების ფორმალური და მატერიალური წინაპირობები - ერთ-ერთის დარღვევა, ისევე, როგორც სამართლის ნორმის გამოყენება საქმის გარემოებათა არასწორი გამოკვლევის შედეგად, შესაძლოა, იქცეს მისი უკანონობის საფუძვლად. [8] ამასთან, აღსანიშნავია, რომ საკასაციო სასამართლოს განმარტების თანახმად, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის გამოცემა იმთავითვე არ ნიშნავს ამ აქტის კანონიერებას. ინდ.აქტის ფორმალური და მატერიალური კანონიერების შეფასებისას, აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების გარდა უნდა შემოწმდეს სხვა ასპექტებიც, მათ შორის - წარმოების ფორმალური წესების დაცვა, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი გამოკვლევის ვალდებულების შესრულება, დაინტერესებული მხარეების ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა, დამდგარი შედეგის საკითხის მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმებსა და ფაქტობრივ გარემოებებთან შესაბამისობა და სხვა.[9] მოცემულ შემთხვევაში, დამდგარი შედეგის საკითხის მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმებსა და ფაქტობრივ გარემოებებთან შესაბამისობის შეფასება გულისხმობს შესყიდვების პროცედურის საქართველოს კანონმდებლობასთან თავსებადობის დადგენას, ხოლო, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პროცესის მიმართ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფა ერთ-ერთი საკანონმდებლო მოთხოვნაა, მოცემული გარემოებაც სასამართლოს შეფასების ფარგლებში განსახორციელებელი კვლევის საგანია.

სააგენტო აღნიშნავს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში, სასამართლომ გასაჩივრებული ინდ.აქტის (საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 ივლისის N 1231 განკარგულება) მატერიალური კანონიერების შეფასების პროცესში უნდა იმსჯელოს რამდენად შეესაბამებოდა აღნიშნული აქტი როგორც საქართველოში არსებულ შესყიდვების კანონმდებლობას, ასევე - კონკურენციის კანონმდებლობასაც, მათ შორის კანონის მე-10 მუხლს.

---

[7] პაატა ტურავა, ნათია წკეპლაძე. ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო. თბილისი, 2010 წ. გვ.63.

[8] პაატა ტურავა, ანა ფირცხალაშვილი, ეკატერინე ქარდავა. ადმინისტრაციული წარმოება საჯარო სამსახურში. თბილისი, 2020. გვ. 171-172. [9] საქმე N ბს-181(კ-22), 12/10/2022

სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასამართლოში შპს „დემაკლენკო იტალიის“ (Demaclenko IT S.R.L) მიერ წარდგენილ სარჩელში მოსარჩელე გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობას არ ითხოვს მხოლოდ ,,სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ კანონმდებლობის საფუძველზე, არამედ სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებში მხარე აპელირებს ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებითაც (იხ., სასამართლოში წარდგენილი სარჩელის 22ე გვერდი). უფრო მეტიც, მოსარჩელეს იდენტიფიცირებული აქვს აღნიშნული მუხლის კონკრეტული პუნქტებიც (,,ბ“ და ,,დ“ პუქნტები), რომელიც, მისი პოზიციით, შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან შესყიდვების პროცესში დარღვეულ იქნა. მომჩივანი სასამართლოში წარდგენილ სარჩელში უთითებს, რომ შპს ,,ემ თი ეის“ მხრიდან დარღვეულ იქნა როგორც ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონი, აგრეთვე ,,კონკურენციის შესახებ“ კანონის დებულებები (იხ., სასამართლოში წარდგენილი სარჩელის 23-ე გვერდი). შესაბამისად, შპს „დემაკლენკო იტალია“ (Demaclenko IT S.R.L) სასამართლოში დაობს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: 1. პრეტენდენტებს შორის ჯანსაღი კონკურენციის განვითარებისა და არადისკრიმინაციული მიდგომის პრინციპების დარღვევა; 2. ბაზრის კვლევის ეტაპზე ჩადენილ დარღვევების ნაწილში საექსპერტო კომპანია Proalpe-ს ე.წ. საეჭვო რეპუტაცია; 3. შესყიდვის პროცესში განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების არაობიექტურობა (იხ., სასამართლოში წარდგენილი სარჩელის 22-30 გვერდები). ამასთან, მოსარჩელე უთითებს იმ გარემოებაზე, რომ მისი პოზიციით, შპს ,,ემ თი ეის“ მიერ დარღვეულია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნები (იხ., სასამართლოში წარდგენილი სარჩელის 28-ე გვერდი), საიდანაც სააგენტო აღნიშნავს, რომ ,,ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნაა სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ მოსარჩელე ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლსა და ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლს, მის მიერ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, ერთობლივი ანალიზის კონტექსტში განიხილავს (იხ., სარჩელის 26-ე გვერდი), რაც აბსოლუტურად მართებულია და დამატებით მიუთითებს გასაჩივრებული აქტის სასამართლოს მიერ ბათილად ცნობის შეფასებისას ორივე კანონმდებლობის გამოყენების საჭიროებაზე. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ შპს „დემაკლენკო იტალია“ (Demaclenko IT S.R.L) სასამართლოში წარდგენილი სარჩელის ფარგლებში დაობს არა მხოლოდ ,,სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ კანონმდებლობის საფუძველზე, არამედ ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებითაც. ეს უკანასკნელი მას განსაზღვრული აქვს გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნის ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძვლად, რასაც ადასტურებს სასამართლოში წარდგენილი სარჩელის შინაარსი. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაციიდანაც დგინდება, რომ გასაჩივრებული აქტის სასამართლოს მიერ მატერიალური კანონიერების შემოწმება

გულისხმობს, როგორც ,,სახელმწიფო შესყიდვების", აგრეთვე ,,კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საკითხის გადაწყვეტას.

სააგენტო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სასამართლოში წარდგენილი სარჩელის სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაში, სამართლებრივი შედეგი გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობა და ზიანის (მიუღებელი შემოსავლის) ანაზღაურება იქნება, მაშინ როდესაც სააგენტოში წარმოდგენილი საჩივრის დასაშვებად ცნობისა და საქმის მოკვლევის შედეგად კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის დადგენის შემთხვევაში, სამართლებრივი შედეგი შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით, განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციის გაცემა იქნებოდა. კერძოდ, სააგენტო ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ როგორც სასამართლოში, აგრეთვე - სააგენტოში საქმის განხილვის შემთხვევაში, შესაფასებელი გარემოება შპს „ემ თი ეი"-ს მხრიდან კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევა იქნება. აქედან გამომდინარე, სასამართლომაც და სააგენტომაც უნდა შეაფასონ ერთი და იგივე ნორმის წინაპირობების წარმომშობი იდენტური გარემოებების არსებობა/არ არსებობის საკითხი. სწორედ აღნიშნული გარემოებები დაედო საფუძვლად საქართველოს მთავრობის მიერ განკარგულების (N 1231) გამოცემას. შესაბამისად, ცალსახაა, რომ მართალია აღნიშნული სამართლებრივი შედეგები ერთმანეთისგან გამიჯნულია, თუმცა მათ შორის არსებული შედეგობრივი სხვაობა არ განაპირობებს დავის საგნის განსხვავებულობას, რადგანაც, როგორც ზემოთაც აღინიშნა, სასამართლოში განსახილველი დავის ფარგლებში შესაფასებელი გარემოება - გასაჩივრებული აქტის მატერიალური კანონიერების შემოწმება, მოიაზრებს როგორც ,,სახელმწიფო შესყიდვების", აგრეთვე ,,კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით საკითხის გადაწყვეტას. აქედან გამომდინარე, მას შემდეგ, რაც სასამართლო ერთხელ გადაწყვეტს საკითხს ,,კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის დადგენა/არდადგენასთან დაკავშირებით, სააგენტო მოკლებული იქნება შესაძლებლობას, იგივე საკითხი ხელახლა განიხილოს.

3.3.2.5 საერთო სასამართლოებისა და ადმინისტრაციული ორგანოების კომპეტენციათა გამიჯვნა

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ კანონის 28-მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პირს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს ამ კანონის დარღვევის თაობაზე სააგენტოსათვის მიმართვის გარეშე. აღნიშნული ნორმის მიხედვით, აშკარაა, კანონის დარღვევის საკითხის შეფასების კომპეტენცია ალტერნატიულად აქვს როგორც სააგენტოს, ასევე, სასამართლოს. პირს, რომელიც თვლის, რომ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად ადგება ზიანი, კანონმდებელი ანიჭებს უფლებას, თავად განსაზღვროს საკუთარი უფლების დაცვის სამართლებრივი გზა - მიმართოს სააგენტოს მოკვლევის დაწყებასთან დაკავშირებით, თუ მიმართოს პირდაპირ სასამართლოს, სააგენტოში საჩივრის წარდგენის გარეშე. სააგენტო ყურადღებას ამახვილებს ასევე იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში განმტკიცებულია

დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრესი პრინციპი - ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და დადგენილია, რომ სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით. ამასთან, კონსტიტუცია აღიარებს ხელისუფლების სამ შტოს: საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას და განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებებს.

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოები. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის თანახმად კი, სასამართლოს აქტი სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთვის, სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით, სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისთვის ხელის შეშლა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები სასამართლოს პრაქტიკაც. კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის მე-4 ნაწილთან დაკავშირებით, უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „აღნიშნული დათქმით კანონმდებელი მკვეთრად უსვამს ხაზს დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრეს პრინციპს - ხელისუფლების დანაწილების თაობაზე. სასამართლო ხელისუფლება, როგორც კონსტიტუციური ფუნქციის განმახორციელებელი მართლმსაჯულების ორგანო, გარანტირებულია სრული ავტონომიით და ჩაურევლობის პრინციპით. ადმინისტრაციული სამართალი ადგენს მმართველობის კანონიერების უზრუნველმყოფ ნორმებს, წესებს, პროცედურებსა და მექანიზმებს, ხოლო მმართველობით სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებაზე კონტროლი სასამართლო ხელისუფლების ფუნქციას წარმოადგენს“.[9]

მოცემულ შემთხვევაში, კანონის დარღვევის თაობაზე დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. სააგენტო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მომჩივანმა სააგენტოში საჩივრის (რეგ: № 01/1583; თარიღი: 06.09.2022) წარმოდგენამდე, თავდაპირველად თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა (თარიღი: 03.08.2022), რითაც მან გამოიყენა კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილება. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიერ იდენტური სარჩელის წარმოებაში მიღების შემდგომ, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, დაიწყოს საქმის მოკვლევა შპს „დემაკლენკო იტალიის“ (Demaclenko IT S.R.L) საჩივრის საფუძველზე.

[9] საქმე N ბს-80-75, 02.07.2013 წ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ხელისუფლების დანაწილების ფუნდამენტური პრინციპი, ადმინისტრაციული სამართლის ზოგადი პრინციპები და სააგენტოს მიერ აღსასრულებელი სპეციალური „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, სააგენტოს ართმევს შესაძლებლობასა და უფლებამოსილებას, წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე დაიწყოს მოკვლევა, თუ სასამართლოში იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე მიმდინარეობს დავა.

4. საჩივრის დასაშვებობის სტანდარტი

მხარეთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის, მტკიცებულებების და დამატებით მოძიებულ ინფორმაციის ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ დასაშვებობის სტანდარტს. მოცემულ შემთხვევაში, აღარ დგას სადავოდ გამხდარი, კონკრეტული ქმედების შეფასების საჭიროებაც, ვინაიდან კანონის მე-10 მუხლის დისპოზიციით გათვალისწინებული შემადგენლობის შეფასება შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ არ იარსებებდა კანონის 24-ე მუხლით გათვალისწინებული სააგენტოს მიერ საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის არც ერთი საფუძველი.

განსახილველ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს საჩივრის დასაშვებობის ფორმალურ-სამართლებრივი საფუძველი, სააგენტო ვერ იმსჯელებს საჩივრის დასაშვებობის მატერიალურ სტანდარტთან დაკავშირებით და, შესაბამისად, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს გონივრული ეჭვის არსებობა კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის კონტექსტში.

სააგენტო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმეზე მოკვლევის დაწყების სამართლებრივი საფუძველი. კერძოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ ფაქტობრივი მოცემულობის გათვალისწინებით, რომ შპს „დემაკლენკო იტალიის“ (Demaclenko IT S.R.L) მიერ წარმოდგენილ საჩივარში დასმული საკითხები არის სასამართლო შესწავლის საგანი, აღნიშნული სცილდება სააგენტოს კომპეტენციას. აქედან გამომდინარე, საჩივარში დასახელებულ ქმედებებთან მიმართებაში არ არსებობს მოკვლევის დაწყების კანონით გათვალისწინებული საფუძველი, რაც კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძველია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საჩივრის დაუშვებლად ცნობა არ უთანაბრდება მასში მოყვანილი შესაძლო სამართალდარღვევის არარსებობის შესახებ დასკვნას. სააგენტო, ნებისმიერ დროს, ახლადაღმოჩენილი/ახლადაგამოვლენილი გარემოების არსებობის პირობებში, ახალი საჩივრის საფუძველზე, ასევე, საკუთარი ინიციატივით, უფლებამოსილია დაიწყოს მოკვლევა შესაბამის ბაზარზე.

სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17[1] მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის, კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტემბრის N 38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-13 და მე-14 მუხლების შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა:

1. შპს „დემაკლენკო იტალიის“ (Demaclenko IT S.R.L) 2022 წლის 06 სექტემბრის N 01/1583 საჩივარი არ იქნეს დასაშვებად ცნობილი.

2. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.

3. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე